პლენანოვის ესთეტიკურ შეხედულებათა არსენალში დიდი ადგილი უჭირავს დასაბუთებას, რომ ხელოვნება არის საზოგადოებრივი მოვლენა და გამოხატავს ცხოვრებას. ამასთანავე მან დაამტკიცა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნების ნაწარმოები გამოხატავს ამა თუ იმ კლასის იდეებსა და ინტერესებს. ჯერ კიდევ 1885 წელს სტატიაში „ორიოდ სიტყვა მუსიკა — მკითხველებს“, იგი მიუთითებს, რომ ყოველი საზოგადოებრივი კლასი პოეზიას აძლევს თავის განსაკუთრებულ შინაარსს. აქედან გამომდინარე იგი წინასწარმეტყველებს, რომ მუსიკა კლასიც შექმნის თავის პოეზიას, რომელსაც ექნება ყველაზე მაღალი შინაარსი, ვინაიდან მხოლოდ მუსიკა კლასს შეუძლია იყოს ქვეშეობრივი წარმომადგენელი შრომისა და გონების იდეებისა.

პლენანოვის მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოშიც მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში. საქართველოში მარქსისტული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები ფ. მახარაძე, შრომაში „როგორ ვავხივებ მარქსისტს“, გარკვევით მიუთითებს თუ რა გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გასული საუკუნის 90-იან წლებში პლენანოვის ნაწარმოებებმა საერთოდ და განსაკუთრებით ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“.

პლენანოვის ნაწარმოებს დიდი ინტერესით სწავლობდნენ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენტები და მოწინავე მუსიკები. დიდი გავლენა მოახდინა ქართველ ახალგაზრდებზე მისმა წიგნმა „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“. ამ წიგნის შესწავლამ საბოლოოდ გადაწყვიტა მათი გადასვლა მარქსიზმის პოზიციაზე და შეარყია რწმენა ნაროდნიკული შეხედულებისადმი.

პლენანოვმა უშუალო დახმარება გაუწია ქართველ მარქსისტებს ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან 1901 წ. გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა სტატია „როგორც ჰქვს, ისე არა წვიმს“, რომელშიც მოცემულია ქართველი ანარქისტის ვარლამ ჩერქევიშვილის შეხედულებათა უმოცილებელი კრიტიკა და დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა დაცვა. ამ სტატიამ დიდიდ შეუწყო ხელი საქართველოში ანარქისტული მიმდინარეობის ძირის გამოთხრას და მარქსიზმის განმტკიცებას. როგორც ცნობილია, ქართველი ანარქისტების საბოლოო იდეური განადგურება მოგვცა ი. ბ. სტალინმა თავის ფილოსოფიურ შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.


აღსანიშნავია, რომ პირველმა ქართულმა ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთმა „ბრძოლაში“, რომლის სათავეში იდგნენ ი. ბ. სტალინი და ლ. კეცხოველი, 1901 წელს გამოაქვეყნა სტატია პლენანოვის რევოლუციური მოღვაწეობის 25 წლისთავის შესახებ. მასში მოცემულია ამ დიდი მოაზროვნის როლისა და მნიშვნელობის შეფასება მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

რსდმ II ყრილობის შემდეგ ხდება პლენანოვის მოზრუნება მენშევიზმისაკენ, რამაც პირველად თავი იჩინა ორგანიზაციულ ოპორტუნიზმში, შემდეგ კი ტაქტიკური ოპორტუნიზმში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პლენანოვი დააფუძნა სოციალ-შოვინიზმის გზას. იგი ამიერიდან მთლიანად ჩამოსცილდა რევოლუციური მარქსიზმს და დაქანდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას პლენანოვი უარყოფითად აფასებდა, თვლიდა რა მას ისტორიულ კანონზომიერების დარღვევად. ყოველგვარი გამოყვეული იყო იმით, რომ მან ყოველთვის ვერ შეესძლო შემოქმედებითად გამოყენებინა მარქსიზმი რუსეთის სინამდვილის მიმართ და ბოლომდე დარჩენილიყო მისი პრინციპებისადმი ერთგული. ამიტომ ახალი, იმპერიალიზმის ეპოქა მისთვის გაუტყდარი დარჩა.

პლენანოვის როლი და მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში მთელი სისუსტით შეფასა ვ. ი. ლენინმა. იგი ამბობდა, რომ 1883-1903 წლებში პლენანოვმა მოგვცა მრავალი საუცხოო თხზულება ოპორტუნისტების, მახისტების და ნაროდნიკების წინააღმდეგ. 1921 წელს პარტიის ახალგაზრდა წევრებს ლენინი ურჩევდა: „შეუძლებელია შეგნებულ, ნამდვილ კომუნისტად იქცეთ უმიმამართო, თუ არ შეისწავლეთ — დაიას, თუ არ შეისწავლეთ — ყველაფერი, რაც კი ფილოსოფიის შესახებ პლენანოვს დაუწერია, ვინაიდან ეს ყველაფერი უკეთესია მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში“ (თხზ. ტ. 32, გვ. 103). ამასთანავე ლენინი არ ჩქამალავდა პლენანოვის შეცდომებს და განსაკუთრებით აკრიტიკებდა მისი მოღვაწეობის მენშევიკურ პერიოდს.

1918 წლის 30 მაისს პლენანოვი გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ლენინგრადში ვოლკოვის სასაფლაოზე.





სოფ. ქვემო ქედის კოლმეურნეობაში. ფოტოზე: პირველი ბრიგადის საფუტკრე.

ქართული ფუტკარი

ა. შიპაძე

ვინ არ მოხიბლულა სამყურასა და იონჯას, ნარშავასა და ვარდკაპკას ყვავილებით მოჩითული ველის სილამაზით? ხილამაზესთან ერთად რამდენ დოვლათს წარმოადგენს ეს ყვავილები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყვავილი ნაყოფის დედაა, იგი თავისთავად ძვირფასი განძის შემცველია, ყვავილი ბუტკოში აგროვებს ნექტარს, რომლისგანაც ფუტკარი თავფს ამზადებს.

რა არ ხაროსა საქართველოს მიწაზე, მდლოს ალბიური ყვავილები გენებავთ, თუ სუბტროპიკული მცენარეები, ერთმანეთის გვერდით დამდგარან ავსტრალიური ევკალიპტები და ციმბირული არყისხეები, ბურის ყანებს მზესუმზირას ნათესები ესაზღვრება, ვენახებს — ჩაის პლანტაციები. მთლიან ხუთი თვის განმავლობაში — აპრილიდან აგვისტომდე — რიგრიგობით ჰყვავიან ისინი და გაზაფხულიდან დაზამთრებამდე არც ფუტკარის ზუზუნს წყდება ველ-მინდვრად, ბალღუნახებსა და ტყეებში. და რაოდენ გულსატკეპნია, რომ საქართველოში დღემდე არსებული ფუტკარის ოჯახები იმ ნექტარის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს აგროვებენ, რასაც ჩვენს მდიდარი ფლორა წარმოქმნის. ვანა დასახანი არ არის, ყვავილთა ნექტარს ტყუილ-უბრალოდ ამრობდეს ქარი, რეცხდეს წვიმა, სოფელში კი ფუტკარის ათიოდე ოჯახიც არ იყოს?! ასეთი სოფელი, კოლმეურნეობა კი ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან ბევრია.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენთან მეფუტკრეობის ნაკლები ყურადღება ექცევა, საკმაო რაოდენობით არ გვყავს ამ დარგის მცოდნე, სპეციალური განათლების მქონე მუშაკები. ალბათ, გელა მეგნივილი ამ აზრისა იყო, როდესაც ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მეფუტკრეობის განყოფილებაზე შედიოდა. დამთავრა თუ არა ტექნიკუმი, მან ზუგდიდის რაიონში, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, დაიწყო მუშაობა უფროს მეფუტკრედ. ეს იყო ამ ხუთი წლის წინათ. საკოლმეურნეო საფუტკრეში გელას ასიოდე ოჯახი ფუტკარი დახ-

ვდა, მაგრამ მოუვლელობისა და ავადმყოფობათა გამო ოჯახები ისე იყო დასუსტებული, რომ ფუტკარი გამოსაზამთრებლად სამყოფ თავფსაც ვერ აგროვებდა. მეფუტკრე იონა ყუფუნია ამ საქმეში, მართალია, საკმაოდ გამოცდილი იყო, მაგრამ მას სპეციალური განათლება არ ჰქონდა, არც საჭირო ლიტერატურით სარგებლობა შეეძლო, ამიტომ ფუტკარის მოვლა-პატრონობის ახალ, მოწინავე მეთოდებს იგი ვერ ეცნობოდა და ძველებური მეთოდით მუშაობდა საფუტკრეში, საქმეს ძლივს ართმევდა თავს.

მივიდა თუ არა მაგნივილი კოლმეურნეობაში, საქმე საფუტკარის შერჩევით დაიწყო. შემოიარა სოფლის მიდამოები, შეისწავლა მცენარეთა გავრცელების არეები და მათი ყვავილობის დრო, მეზობელ კოლმეურნეობებში ფუტკარის ოჯახთა რაოდენობა და მათი ჯანმრთელობის ამავე. ყოველივე ამის გათვალისწინებით საფუტკრე ისეთ ადგილას გამართა, საიდანაც ყვავილოვანი და თავლოვანი მცენარეები ფუტკარისათვის უფრო მისაწვდომი იქნებოდა.

ასე ვიხსენებ, ბიძია იონა, — უხსნიდა იგი თავის დამხმარე მეფუტკრეს. — მართალია, ფუტკარს 6-7 კილომეტრზე შეიფარა გაფრინდეს, მაგრამ შორიდან მას დიდი ტვირთი ვერ მოაქვს, ამიტომ რაც უფრო ახლოა იგი იმდენად ფუტკარისათვის, მით უფრო ნაყოფიერია მისი მუშაობა. გაზაფხულის დადგომისთანავე ავადმყოფობათა მოსპობის მიზნით ფუტკარის ყველა ოჯახს ახალ ჩარჩოიან სკებში გადაიყვანეს. შეამოწმეს ოჯახების სიმძლავრე, დედა ფუტკრების არსებობა, ბარტყების რაოდენობა და ხარისხი. ბუდეები და მათი ავარჯიანობა, გამოცვალეს უფარგისი და ჩააკრეს ახალი, ხელოვნური ფიჭები. უღედო ფუტკრებს მისცეს შემოდგომამდე შემონახული სათავარიო დედეები. ასეთი მოვლით პირველ წელსვე მოისპო საფუტკრეში სიღამაღე და სხვა ავადმყოფობანი, შეივსო, გაძლიერდა ოჯახები. ხელოვნური ნაყოფის გზით რამდენიმე ახალი ოჯახიც შეემატა საფუტკრეს.

ამჟამად, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მეფუტკრეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალშემოსავლიანი დარგია. დღეისათვის აქ 250 ოჯახზე მეტი ფუტკარი ჰყავთ. შარშან თვითეული ოჯახიდან 18 კილოგრამი თაფლი მიიღეს, მარტო ამ დარგიდან მიღებულმა შემოსავალმა 100 ათას მანეთს მიაღწია.

ახალსოფელს მეფუტკრეებს სრულიდაც არ მოაქვთ თავი წარმატებით.

ჩვენ დასაკვირვებელია რა გვექვს, — გვიხსნა გელა მეგნივილი, — არიან მეფუტკრეები, 18-20 კილოგრამს კი არა, ორჯერ, სამჯერ მეტ თავფს იღებენ თვითეული ოჯახიდან. მაგალითად, შარშან წითელწყაროს გაფარისის სახელობის კოლმეურნეობაში მეფუტკრეებმა ლეკაშვილმა და ბერიძემ 440 ფუტკარის ოჯახიდან თვითეულზე 53 კილოგრამამდე თაფლი მიიღეს.

სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი მეფუტკრეები თითზე ჩამოსათვლილია. ბევრ კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს ნაკლები ყურადღებით და გულსხმიერებით ეკიდებიან. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში სრულიად არ მისდევნენ მეფუტკრეობას, ხოლო ბევრგან იგი მოუვლელობისა და ავადმყოფობის გამო საკმაო შემოსავალს ვერ იძლევა, ოჯახები სუსტდება და იღუპება. ამის გამო უკანასკნელ წლებში ფუტკარის ოჯახები ჩვენში თანდათან მიკრძება. მარტო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 5.000-მდე ოჯახით შემცირდა ფუტკარის რიცხვი.

ჩვენს კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს ღრმად არა აქვთ შეგნებული ამ დარგის უდიდესი მნიშვნელობა და სარგებლობა. სხვა არა იყოს რა, ფუტკარი ხომ მცენარეთა განაყოფიერებას უწყობს ხელს და საგრძობლად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. დამტკიცებულია, რომ ფუტკარის დახმარებით 60 პროცენტით იზრდება ხილის მოსავალი, მზესუმზირისა და იონჯისა — 50 პროცენტით, ხოლო სამყურას

თესლისა ერთიორად და მეტად. საქართველო მეფუტკრეობის სამშობლოა. გერ კიდეა ძილიო წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეების ბერძნული წყაროები იხსენიებენ კოლხეთის ფუტკარის დიდ გამოსავალსა და ამ ქვეყნის თეთრი სქელი თაფლის, ეგრეთ წოდებული კირპუჩის მაღალ ღირსებებს. ბერძენი ისტორიკოსი — ქსენოფონტე (430-355 წ. ჩვ. წ. ა.), ხოლო შემდეგ სტრაბონი და პლინიუსი (ჩვ. წ. ა. I საუკუნე) გვაწვდიან მდიდარ ცნობებს საქართველოში შინაური კულტურების მფუტკრეობის განვითარების შესახებ.


ამჟამად, უკვე საჩვენოდ აღიარებულია, რომ ქართული ჯიშის მთის რუხ ფუტკარის ბადალი არა ჰყავს მთელ მსოფლიოში, არ არის მეფუტკრეობაში ცოტად თუ ბევრად ცნობილი მკვლევარი და სპეციალისტი, რომელსაც არ აღენიშნოს ქართული ფუტკარის ღირსება. მოლოტოვის ოლქში კოლმეურნეობა „სტრიკას“ საფუტკრეში ქართულმა ფუტკარმა ადვილობრივ ჯიშთან შედარებით ორნახევარჯერ მეტი თაფლი მოაგროვა. ცნობილია ამერიკაში სპეციალისტებმა კორკონსმა და ჯილბერტმა ცდებით დაამტკიცეს, რომ ქართული ფუტკარი ცნობილ იტალიურ ფუტკარს 100-200 პროცენტით უჯობნიდა, როგორც პროდუქტიულობით, ასევე სხვა თვისებებით.

მაინც რატომ გამოირჩევა ქართული ფუტკარი ასეთი მაღალი სამეურნეო თვისებებით? რით უჯობს იგი სხვა ჯიშის ფუტკარს? პირველ ყოვლისა, იმით, რომ მას ყველა სხვა ჯიშზე გრძელი ხორთუმი აქვს და წითელი სამაორიდანაც კი შეუძლია ამოწმუნოს ნექტარი, რაც სხვა ჯიშისათვის მიუწვდომელია. თავისი გრძელი ხორთუმის წყალობით აკლვიან წვილიწაღსაც კი, როდესაც ნექტარი ყვავილში მეტად ცოტაა

და ღრმად, საკმაო რაოდენობით თაფლს აგროვებს. ამასთან ერთად ქართული ფუტკარი კარგად იცავს თავს სხვა ფუტკარის თაფლასხმევაგან, ქალიან თინიერია, მახანა მუშაობის დროს ცარი მფუტკრეს პირობად — კი არ სჭირდება. ხშირად ხილის დროს ბუდედან ამოღებულ ჩარჩოზე დედა ფუტკარი დინჯად დადის და განაგრძობს კვრცხისღებას, მუშა ფუტკრეები კი ჩვეულებრივ მუშაობენ, ზოგი ლაღაზეც კი მიფრინავს. ბუდის ხილის რამდენიმე წუთის შემდეგ ოჯახი მთლიანად წყნარდება და ნორმალურ მუშაობას განაგრძობს, მაშინ როდესაც სხვა ჯიშის ფუტკრეები ბუდის ხილის შემდეგ რამდენიმე საათის და ხშირად მთელ დღეს არ მშვიდდებიან, და მუშაობას არ იწყებენ. ქართული ფუტკარი ერთი კარგი თვისებითაც გამოიჩენება. მას ნაკლებად აქვს განვითარებული ნაყოფის ინსტინქტი და სადღეივს მცირე რაოდენობით აშენებს, რაც შესაძლებელია ადვილებს მასთან მუშაობას და ხელს უწყობს თაფლის დიდი რაოდენობით დაგროვებას.

ყველა ამ თვისებათა გამო ქართულმა ფუტკარმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. არსებობს ცნობები, რომ ამერიკაში ისე ფართოდ გავრცელდა ქართული ჯიშის ფუტკარი, რომ აქ გამოყვანილი დედები ევროპაში იყიდება.

ქართული ჯიშის ფუტკარი თანდათან ფართო გავრცელებას პოულობს ჩვენი მიწებზე. პუბლიკის კოლმეურნეობებში. თვით ჩვენთან კი, თავის სამშობლოში ქართული ფუტკარი თავს ლაღად ვერა გრძნობს. რატომ უნდა იკარგებოდეს ამაოდ ძვირფასი ნექტარი აკაციისა და ცაცხვის, ვაშლისა და მსხლის, ძიძოსა და სამყურას ყვავილებში, როცა ამ ნექტარის ყოველი წვეთი შეგვიძლია თავლად ვაქციოთ, თუ საკმაო რაოდენობით მოვაშენებთ და მოკვლით ფუტკარს!



სოფ. ქვემო ქედის კოლმეურნეობის საფუტკარის ავტომატური წვლის სახელი. ფოტო ვ. ჩერკასოვისა

— მოგვიკვლი, განა, ჩვენი ფერდინანდი, — აცნობა ერთ დილით ახალი ამბავი შვეიცის მისმა მსახურმა დედაკაცმა. შვეიკი ამ რამდენიმე წლის წინათ სამხედრო სამედიცინო კომისიამ ილიოტად სცნო, ამის გამო სამხედრო სამსახურიდან გავიდა და ძალღებრივ ვაჭრობას მოვიდა ხელი — უჯიშო სახიჩარ ორტაბახებს ნაირ-ნაირი შთამომავლობის მოწოდებებს უთხავდა და ჯიშის ძალღებრად ასაღებდა.

გარდა ამისა, იგი რევმატიზმით იყო დაავადებული, და ახლა იჯდა და ოპოდელდოკით მუხლებს იხედავდა.

— რომელი ფერდინანდი, პანი მიულეროვა? — შვეიკისა შვეიკი, თან მუხლების ზეგას განაგრძობდა. — მე ორ ფერდინანდს ვიცნობდი. ერთი მათგანი ფარმაცევტ პრუშთან მსახურობდა და ერთხელ იქ შეცდომით მთელი ბოთლი თმის გასაზრდელი სითხე დალია. კიდევ არის ფერდინანდი კოკოშკა, აი ის, ძალღის შრორეს რომ ავროვებს. არც ერთი მათგანის სიკვდილი, მართალი გითხრათ, არ მანახლავს.

— არა, ჩემო ბატონო, ერცპერცოვი ფერდინანდი! მოჰკვლეს, აი ის, კონობიტეში² რომ ცხოვრობდა, ჩასუქებული, ღვთის მორწმუნე...

— ღმერთო ჩემო, წამოიძახა შვეიკმა, — ეს რა მესმის! კი მაგრამ, სად შეემთხვა ეს უბედურება პან ერცპერცოვს.

— სარაევოში გამოსასლემეს წუთისოფელს. რეგოლოვით მოჰკვლეს. თურმე ავტომობილში მგდარა თავისი პერცოვინათი.

— რას ამბობთ, პანი მიულეროვა, ავტომობილში? რა თქმა უნდა, ასეთ დიდკაცს ავტომობილი სეირნობა შეჰფერის, მაგრამ, ალბათ, არც კი იფიქრა, რა უბედურება მოჰყვება ხოლმე ამგვარ გასეირნებას. ისიც სარაევოში სარაევო ხომ ბოსნიანია, პანი მიულეროვა, და ეს მკვლელობა, ჩანს, თურქებმა ჩიადინეს. რას გეგმობთ, ბოსნიან და პერცოვინა რომ წაფართოვით...³ ხედავთ, რა ამბები ხდება, პანი მიულეროვა. ერცპერცოვმა, მამასადავამ, სული ვანუტყვია, არა!

— პან ერცპერცოვი იმწამსვე გათავდა, თურმე, ბატონო ჩემო. რეგოლოვით სახუმარო როდია. ამას წინათ აქ, ჩვენთან, ნუსლიში ერთი კაცი რეგოლოვრის სროლით ერთობოდა და მთელი ოჯახი ამოწყვიტა. ზედ კარისკაციც მიაცოლა, რომელმაც თურმე ამ დროს გარეთ გამოიხედა, ერთი გავიგო, გინ არის, მეოთხე სართულიდან რომ ისერისო.

— ზოგიერთი რეგოლოვიან, პანი მიულეროვა, ბევრიც რომ ეცადოთ, ერთ ტყვიასაც ვერ გაისვრით. ასეთი სისტემის რეგოლოვები რამდენიც გნებათ — იმდენია. მაგრამ პან ერცპერცოვისთვის უთუოდ განსაკუთრებული სისტემის იარაღს შეიძენდნენ. გარდა ამისა, ნაძღვეს დადებ, რომ ის კაცი, რომელმაც იროლა, ამ შემთხვევისთვის განსაკუთრებულად მორთულ-მოკაშული იქნებოდა. ცხადია, ერცპერცოვის საიქიოს გასტუმრება არც ისე იოლი საქმეა. ეს ისე როდია, ვიღაც მაწანწალამ შეტყვევებოქოკლა. მთელი საქმე ისაა, როგორ მიიღვე ერცპერცოვამდე. ასეთ დიდკაცამდე ძონძებში გამოხვეული ვერ მიხვალ. აუცილებლად ცილინდრი უნდა გეხუროს, თორემ პოლიციელი უმად ხელს წაგაგებებს.

— ამბობენ, ბატონო ჩემო, უამრავი ხალხი იყოო.

— ეს, თავისთავად ცხადია, ასეც იქნებოდა, პანი მიულეროვა, — კვერი დაურა შვეიკმა და მუხლების მსასასაც შორია. — მაგალითად, თქვენ რომ ერცპერცოვის ან ხელმწიფე-იმპერატორის მოკვლა მოგესურებინათ, უთუოდ ვინმეს რჩევას ჰკითხავდით. ერთი ჭკუა კარგია, ორი — უკეთესი. ერთი ერთს გირჩევს, მეორე — მეორეს და „გზა გახსნილია წარმატებისკენ“. როგორც ჩვენს პიშნში ვიმდღერით ხოლმე. მთავარია — ალღო აუღო, როდის ჩამოვიღოს ასეთი დიდი კაცი. ხომ გახსოვთ, პან ლუკენი⁴, რომელმაც ქლიბი ჩასცა ჩვენს დედოფალ ელისაბედს და მოჰკლა. ლუკენი მასთან ერთად დასეირნობდა ხოლმე. ჰოდა, მოდი ამის შემდეგ და. ვინმეს ენდებ! მას აქეთ არც ერთი დედოფალი აღარ დადის სასეირნოდ. ასეთი რამ კიდევ ბევრს მოუვა. აი, ნახავთ, პანი მიულეროვა, რუსეთის მეფედედოფალსაც მისწვდებიან და, შეიძლება, ღმერთმა



მოგონებები ფენი ყოჩაღმა ზარისაბსმა შვეიცია მსოფლიო ომში იარსლავ ჰაჰკი

ილუსტრაციები ჩეხეთის სახალხო მხატვრის იოსებ ლადასი

დაგვიფაროს, ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორამდეც მიადვიროს, რაკი მისი ბიძისგან¹ უკვე დაიწყეს... იმ მოხუცს ბერი მტერი ჰყავს, ვაცოლებით მტერი, ვიდრე ფერდინანდს ჰყავდა. ამას წინათ სამიკიტნოში ერთი პანი გვიამბობდა: „მოვა დრო და, ამ იმპერატორებს ტახტიდან ერთმეორეზე კისრისტეხით გადმოყრიან. მათ თვით სახელმწიფო პროკურატურაც ვეღარ უშველისო“. მერე აღმოჩნდა, რომ ამ კაცს თურმე ლუდის ფულიც არ გააჩნდა და მიკიტანმა პოლიციუსს დაუძახა. ამისთვის მიკიტანს იმ კაცმა ერთი მაგარი სილა აჭამა, პოლიციუსს კი ორი უთავა. მერე ის კაცი გამოსახვილებულად ხელღებრით² წაიყვანეს. დაბნ მიულეროვა, ჩვენს დროში რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. მამ, კიდევ ერთი დანაკლისი ავსტრიისთვის, არა? როცა ჯარში ვმსახურობდი, იქ ერთმა ქვეითმა ჯარისკაცმა კაპიტანი მოჰკლა. გატენა თოფი და კანცელარიაში მივიდა. იქ უთხრეს, კანცელარიაში არაფერი გასაქმებაო, იგი თავისაზე იღვა: კაპიტანთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვსო. გამოვიდა კაპიტანი და იმ სალდათს ყაზარმიდან ქალაქში გასვლის ნებართვა ჩამოართვა. სალდათმა თოფი გადმოიღო და შიგ გულში დაახალა. ტყვიამ ზურგში გაატანა და კანცელარიაშიც მთელი ამბავი დაატრიალა: მელნიანი ბოთლი დამსხვრია და მეღვინე სამსახურებრივ ქაღალდებს გადაეცხა.

— იმ სალდათს რაღა დაემართა? — შვეიკისა ცოტა ხნის შემდეგ პანი მიულეროვა, როცა შვეიკი უშვე იცხამდა.

— ხვანჯრით თავი ჩამოიხრჩო, — უპასუხა შვეიკმა, რომელიც თავის ქვაბურა ქულს სწმენდა. — მერე მისი მინც ყოფილიყო ის ხვანჯარი, ციხის დარაჯს გამოართვა, მარგალი მვარდებო. აბა მარგალიჩეარდნილი ხომ არ ივლიდა, ვიდრე დახვრეტდნენ? და ისედაც გასაგებია, პანი მიულეროვა, ასეთ მდგომარეობაში ადამიანს თავგაზაროვორ არ აგებნეცა ციხის დარაჯი თანამდებობიდან მოხსნეს და ექვსი თვე მარტვეს, მაგრამ დიდხანს არ მჯდარა, შვეიცარიაში გაიქცა და ახლა იქ რომელიღაც ეკლესიაში ქადაგებს... ჩვენს დროში პატიოსანი ადამიანი ცოტაა. პანი მიულეროვა, ვფიქრობ, ერცპერცოვი ფერდინანდი სარაევოში სწორედ იმ ადამიანში მოტყუვდა, რომელმაც ტყვია ესროლა. დანახა თუ არა ის კაცი, ალბათ, გაიფიქრა: „უთუოდ წესიერი ვინმეა, რაღად წესაღმებოა“. მანი კი ტყვია დაახალა. რამდენი ტყვია მოურტყამს? — ვაუთუბი, ჩემო ბატონო, წერენ, რომ ერცპერცოვი მთლად დაეცხრილული იყო. მკვლელს მთელი ვაზნები დაუცლია.

— ეს მეტად სწრაფად ხდება, პანი მიულეროვა,

საოცრად სწრაფად. მე ასეთი საქმისთვის ბრუნინგს ვიყიდი. ერთი შეხედვით, სათამაშო გეგონებოთ, იმით კი შეგიძლიათ ორ წუთში ოც ერცპერცოვს მოჰფრტოთ³ ნოლდ⁴. ვინდა გამხდარი იყოს იგი, ვინდაც მსუქანი. თუმცა, ჩვენთვის რომ გიქვება, პანი მიულეროვა, მსუქანს უფრო ადვილად მორტყამ ტყვიას, ვიდრე გამხდარს. იქნებ ვახსოვთ კიდევ, პორტუგალიაში როგორ მოჰკლეს საკუთარი მეფე. იგი კი ზინივით კაცი იყო! მეფე, კარგად მოგეხსენებათ, არც შეიძლება გამხდარი იყოს... ახლა მე, პანი მიულეროვა, სამიკიტნო „უ კალიხაში“ მივდივარ. თუ ვინმემ მომაკითხოს ტერიერის წასაყვანად, რომელიც ბე მაქვს აღებული, უთხარი, ქალაქკარეთ საძალღეში ჰყავს მითაგებული, რადგან სულ ახლახან ყურები დააჭრა და, სანამ ჰკრილობა არ მოუშუშდება, ლეკვის წაყვანა ყოვლად დაუშვებელია, ყურები გაუცივდებათქო. გასაღები მეკარეს დაუტოვეთ.

სამიკიტნო „უ კალიხაში“ მართო ერთი მუშტარი იჯდა. ეს იყო საიდუმლო პოლიციის აგენტი ბრეტშნაიდერი. მიკიტანი პალივეცი ჭურჭელს რეცხდა და ბრეტშნაიდერი ამაოდ ცდილობდა სერიოზული საუბრის გაბმას.

პალივეცი ცნობილი იყო თავისი უწამლო სიტყვა-პასუხით. მას ყოველი მეორე სიტყვის წარმოთქმისას პირზე ეყვრა „უკანალი“ და „ჩონჩოიკი“. მაგრამ ამასთანავე ნაკითხი კაციც გახლდათ, და ყველას ურჩევდა, აბა ერთი წაიკითხეთ ვიქსორ პიუგის ნაწარმოებში, ინგლისელმა რა უპასუხა ნაპოლეონის ძველმა გვარდიამ ვატერლოოს ბრძოლაში.²

— კარგი ზაფხული გვაქვს, — ცდილობდა სერიოზული საუბრის ჩამოგდება ბრეტშნაიდერი.

— ჩონჩოიკაცად არა ღირს! — უპასუხა პალივეცმა, რომელიც განჯინაში ჭურჭელს ალაგებდა.

— ხედავთ, რა სათამაშო ჩაგვადეს სარაევოში, — უკვე იმედის დაკარგვით წარმოთქვა ბრეტშნაიდერი.

— რომელ „სარაევოში“? — ჰკითხა პალივეცმა. — ნუსლის სამიკიტნოში ხომ არა? იქ ყოველდღე ჩხუბი და დავიდარბაა. რაღა ლაპარაკი უნდა, ნუსლი იქნება!

— ბოსნიის სარაევოში, ბატონო მიკიტანო, იქ ერცპერცოვი ფერდინანდი მოჰკვლეს. რას იტყვით ამაზე?

— ასეთ საქმეებში არ ვერევი. ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, — ზრდილობიანად უპასუხა პან პალივეცმა და ჩიზუნი გააბოლა. — კაცი რომ ასეთ საქმეებში ჩაერიოს, კისერს მოიტენს. მე მიკიტანი ვარ. ჩემთან დასალევად თუ შემოვიღის ვინმე, ლუდს მოითხოვს, მე კიდევ ჩამოვუსხამ, რამდენსაც მოისურვებს. ის რაღაც სარაევოა, პოლიტიკა თუ განსვენებული ერცპერცოვი — ჩვენ რაში გვეკითხება, ან რა გვესაქმება! ყოველივე ამას პანაკრცის³ სუნი უღის.

ბრეტშნაიდერი დაღვრდა და გულგატეხილად შეათვალერა ცარიელი სამიკიტნო.

— წინათ აქ ხელმწიფე-იმპერატორის პორტრეტი ეკიდა. — ერთი წუთის შემდეგ ისევე ალაპარაკდა ბრეტშნაიდერი, — სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა სარკეა.

— დაბ, მართალსა ბრძანებთ, — უპასუხა პან პალივეცმა, — ეკიდა. ოლონ ბუზები ასკინტლავდნენ, ამიტომ ჩამოვიღე და სხვებზე ავიტანე, ვინმეს თვალში რომ არ სცემოდა და შენიშვნა არ მოეცა. ამას კი უსიამოვნება მოჰყვებოდა. რა ეშმაკად მინდა ასეთი რამ!

— სარაევოში უთუოდ ცუდი მდგომარეობაა. ბატონო მიკიტანო.

პირდაპირ დასმულ ამ მზაკერულ კითხვაზე პან პალივეცმა დიდი სიფრთხილით უპასუხა:

— დაბ, ამ დროს ბოსნიას და პერცოვინაში მტისმეტად ცხელა. როცა იქ ჯარში ვიყავი, ჩვენი ობერ-ლეიტენანტი გამუდმებით ყინულს იღებდა შუბლზე.

— რომელ პოლკში მსახურობდით, პან პალივეცი?

— ასეთ წყაროდან არა გიმასხვრებთ ხოლმე, და საერთოდ არც მინტერესებდა არასდროს. — უპასუხა მიკიტანმა. — არა ვარ მინცადამინც ცნობისმოყვარე. გადამეტყულო ცნობისმოყვარეობას ზიანის მტერი არაფერი მოაქვს.

¹ ლისაბონში 1908 წ. 1 თებერვალს მოჰკვლეს მეფე კარლოს I, რომელიც მტისმეტად მსუქანი მამაკაცი ყოფილა.

² ნაპოლეონის გვარდიამ ინგლისელების წინააღმდეგ ბრძანებით, უპასუხა: „Merde! (ნებელი) გვარდია კვდება და არა ნებდება!“

³ საპყრობილე პოლიტიკურ დამწამებთათვის, მდებარეობდა პრალაში იმავი სახელწოდების (პანკრიც) რაიონში.

¹ ფრანც ფერდინანდ ფონ ესტე-ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის ფრანც იოსებ I-ის ბიძაშვილი იყო, მოკლულ იქნა სარაევოში 1914 წლის 28 ივნისს.

² კონობიტე — ერცპერცოვ ფრანც ფერდინანდის სასახლე ჩეხეთში.

³ 1908 წელს ავსტრო-უნგრეთმა ბოსნიისა და პერცოვინის ანექსია მოახდინა.

⁴ ლუიჯი ლუკენი 1898 წ. 10 სექტემბერს მოკლა ავსტრიის დედოფალი ელისაბედი, ფრანც იოსებ I-ის შველლე.

პოლიციის აგენტი ბრეტშნაიდერი საბოლოოდ დადუმდა. მის მოლუშულ სახეს სინათლე მხოლოდ მისი მოფენის, როცა სამიტიტონში შევიკი შემოვიდა, რომელმაც მოსკლისთანავე შავი ლუდი მოითხოვა და აქვე შენიშნა:

— დღეს ვენაშიც გლოვია.
ბრეტშნაიდერს თვალები იმედით გაუბრწყინდა და სწრაფად წარმოთქვა:
— კონოპიტში ათი შავი ბაირალია გამოკიდებული.

— არა, თორმეტი იქნება, — თქვა შევიკმა და ლუდი მოსვა.

— რატომ გგონიათ, რომ თორმეტი? — ჰკითხა ბრეტშნაიდერმა.

— სრული ანგარიშისთვის — ერთი დუქანი. უფრო ადვილი დასათვლელია, დუქანი უფრო იაფიც ჯდება, — უბასუხა შევიკმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც თვითონ შევიკმა დაარღვია. მან ამოინგნუნა და თქვა:

— მაშ, თქვენი ჭირი წაიღო, არა! ღმერთმა სასუფეველი დაუმკიდროს! გელარ მოესწრო იმპერატორობას.

როცა სამხედრო სამსახურში ვიყავი, ერთი გენერალი ცხენიდან გადმოვარდა და დაიშტერა. მიეშველენ, უნდოდათ ისეც შეეხებოთ ცხენს, მაგრამ მისი საქმე უკვე გათავებული იყო. ფელდმარშალბას კი უშიშნებდა. სამხედრო აღლუმზე დაემართა ეს ამბავი. აღლუმები საერთოდ არასდროს კარგად არ თავდება ხოლმე. სარაევოშიც, უთუოდ, აღლუმი იყო გამართული. მასხოს, ერთხელ ჯარის საწვიმო დათვალეობის დროს მუხლირზე მეოცე დიდი ამწყვეტია, ამისთვის თოთხმეტი დღით ჩამსვეს. ორი დღე ლაზარესავით ხელფეხ-შერეული ვეგდე. რას იზამ, სამხედრო სამსახურია — დისციპლინა საჭირო. დისციპლინა რომ არ იყოს, ყველა თავს აიშვებდა. ჩვენი ობერ-ლეიტენანტი მაკოვეცი ყოველთვის გვეუბნებოდა: „დისციპლინა, თქვე ყვეჩეობო, აუცილებელია. დისციპლინა რომ არ იყოს, მამოშენებოთ ხეებზე აძვრებოდითო. სამხედრო სამსახური, თქვე უტივირობო, ადამიანებად გაქცევით“ და მართლაც, განა ეს ასე არ არის? წარმოიდგინეთ ბაღი, ვთქვათ, კარლოსის შოლანზე, და ამ ბაღში ყოველ ხეზე, ვთქვათ, თითო ჯარისკაცი შემომჯდარა ყოველგვარი დისციპლინის გარეშე. ყველაზე უფრო ეს ამბავი მაშინებს.

— ყველაფერი, რაც სარაევოში მოხდა, სერბიელების ჩადენილია, — შეეცადა ბრეტშნაიდერი საუბრის შემობრუნებას.

— სცდებით, — უბასუხა შევიკმა. — ყველაფერი ეს თურქების ბრალია. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გამო.

შევიკმა გამოთქვა თავისი აზრი ავსტრიის საგარეო პოლიტიკაზე ბალკანეთის საკითხში; თურქებმა 1912 წელს სერბია-ბულგარეთ-საბურხენეთთან ომი წააგეს; თურქებს უნდოდათ, ავსტრია მიშველებოდა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. მაშინ აიღეს და, ფერდინანდს მოუკლეს.

— შენ გიყვარს თურქები, ის ურჯულოები? — მიუბრუნდა შევიკი მიკიტანს. — ხომ არა?

— მუსტარი მუსტარია, — თქვა პალიცემა, — თუნდაც თურქი იყოს იგი. ჩვენი მიკიტანს, პოლიტიკის არაფერი გვეკითხება. გადაიხადე ლუდის საფასური, იჯექი შენთვის სამიკიტანოში და ილაყბე რამდენიც გინდა — აი ჩემი წესი. ვინ მოკლა ჩვენი ფერდინანდი — სერბიელმა თუ თურქმა, კათოლიკემ თუ მამადაინამა, ანარქისტმა თუ მლადო-ჩეხმა² — ეს ჩემთვის სულ ერთია.

— კეთილი და პატიოსანი, პატონო მიკიტანო. — წარმოთქვა ბრეტშნაიდერმა, რომელსაც ისევ უც

რუდებოდა იმედი იმაზე, რომ ერთი ამბავანი გაეზმებოდა. — მაგრამ თქვენი პირდაპირ, რომ ეს დიდი დანაკლისია ავსტრიისთვის.

მიკიტანს ნაცვლად შევიკმა უბასუხა:

1. ეს სასჯელი ავსტრო-უნგრეთის არმიამ იყო შემოღებული და შემდეგში მდგომარეობდა: დამნაშავე ჯარისკაცს ხელდას ფეხებზე მიუკრავდნენ თხასავით და მიწაზე დაგდებულს ასე სტოვებდნენ ერთ დღეს, ან მეტ ხანსაც.

2. მლადოჩეხი — ჩეხეთის ბურჟუაზიული პარტიის წევრი ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში.

— რაღა თქმა უნდა, დანაკლისია, ერთი გამოუთქმელი დანაკლისი. ფერდინანდს ვერ შეცვლი, მაგალითად. ბოთე ვინმეტი, მაგრამ კარგი იქნებოდა, ცოტა უფრო სქელი კაცი რომ ყოფილიყო.

— რა გინდათ ამით თქვეთ? — გამოცოცხლდა ბრეტშნაიდერი.

— რა მინდა ვთქვა? — მშვიდად გაიმეორა შევიკმა შეკითხვა. — აი რა. უფრო სქელი რომ ყოფილიყო, დამბლა მოუვიდოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა კონოპიტში დედაბრებს აწიოკებდა, რომლებიც მის მამულში ფიჩხსა და სოკოს აგროვებდნენ.

უფრო სქელი რომ ყოფილიყო, ასეთი სამარცხვინო სიკვდილით აღარ მოკვდებოდა. წარმოგიდგინათ — ხელმწიფე-იმპერატორის ბიძა და... ტყვიით ჩააძალღეს. ეს ხომ თავლაფის დასხმაა, ამაზე ხომ მთელი გაზეთები გაჰყვიან! ჩვენთან ბუდეიოვიცე-ში ამ რამდენიმე წლის წინათ ბაზრობაზე პატარა ჩხუბი მოხდა და ფეხზე მოვაჭრეს, ვიღაც ბრშეტის-ლავე ლუდეიც დაწით ფერდი გამოავატრეს. მას ვაყი ჰყავდა — ბოქუსლაგი. პოდა, სადაც არ უნდა წასულიყო ეს ბოქუსლაგი თავისი გოჭების გასასყიდად, ყველა ზურგს აქცევდა. ასე ამბობდნენ: „ეს ხომ იმის ვაყია, ბაზარში დაწით ფერდი რომ გამოავატრეს. ესეც კაი გაიძვინა იქნებოა“. ბოლოს იძულებული გახდა კრემლიოვანში ხიდიდან ვლტავე-ში გადაეარდნელიყო. მერე საჭირო შექენა მისი იქიდან ამოთრევა, მკვდრებით აღდგენა, წყლიდან დაცლა... და მინც სული განუტევა ექიმის ხელზე, როცა მან რაღაც შეუშხაპუნა.

— ძალიან უცნაური შედარება გამოგივიდათ, — მრავალნიშნელოვნად ჩაილაპარაკა ბრეტშნაიდერმა. — ჯერ იყო და, ფერდინანდზე ლაპარაკობდით, მერე ვიღაც მოვაჭრეზე გადაიტანეთ ლაპარაკი.

— სრულენითაც არა, — თავს იმათლებდა შევიკი. — ღმერთმა დამიფაროს რაიმე შედარებისგან! პან პალიცევი კარგად მიცნობს. ხომ სიპაროლვა, რომ მე ერთ ადამიანს არასოდეს მეორეს არ ვაღარებ ხოლმე? ოლონდ ეს კია, არ მინდოდა ერცპერ-ცოვის ქერივის ტყეში ვყოფილიყავი. რა წყალს უნდა მისცეს თავი? ბაყეები დაუობლდა, მამული კონოპიტში უბატონოდ დარჩა. გათხოვდეს რომელიმე სხვა ერცპერცოვზე? რა აზრი ექნება? წავა ისევ მინდოდა ერთად სარაევოში და მეორედ დაქვებდებოდა... აი, მაგალითად, ზღოვანში, პლობუკას მახლობლად, ამ რამდენიმე წლის წინათ ცხოვრობდა ერთი მეტყვევი უმსგავსი გვარისა — ვინმე პინდორი. ბრაკონიერმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს; მას დარჩა ქერივი ორი ბაყევი. ერთი წლის შემდეგ ქალი გათხოვდა, ისევ მეტყვევი გაჰყვა, მიდლოვარეზე ბუჩიკ შევლოვცის. პოდა, იმასაც ბოლო მარუდეს. გათხოვდა მესამედ, ისევ მეტყვევი უნდა თქვა: „ღმერთს სამება უყვარს, თუ ახლაც არ შემარჩინეს ქმარი, აღარ ვიცი, როგორ მოვიტყეო“. რა თქმა უნდა, ესეც მოჰკლეს, ქალს კი ამ მეტყვევისგან, სრული ანგარიშით რომ ვთქვათ, უკვე ექვსი შვილი ჰყავდა. ადგა ეს დედაკაცი და წაიდა პლობუკაში, პირდაპირ თავისი კანცელარიაში და შეჩვიდა — ეს რა უბედურებაა ჩემს თავს, ერთთავად ჯვარის მაცვეს ამ მეტყვევებშიაო. მაშინ ურჩიეს, რაიციის გუჟურის დარაჯს იარეშს გაჰყევი ცოლადო. და წარმოიდგინეთ ეს იარეშო თევზაობის დროს წყალში ჩაახრჩეს! მერე ვოდნანელ ექიმბაშუზე გათხოვდა; ერთ ღამეს ამ ექიმბაშუ-მა ცულთ გაუპო თავი ცოლს და თავისი ფეხით ქანდარმერიაში წაიდა. როცა მერე ბასეკეში საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ, ხუცესს ცხვირი მოაკენიტა და განაცხადა — ამქვეყნად დასანანებელი არაფერი მჩრებაო, და თანაც ხელმწიფე-იმპერატორის შესახებ ძალზე საძაგელი რაღაც დაურთო.

— თქვენ არ იცით, რა თქვა მასზე? — იმედიანი ხმით ჰკითხა ბრეტშნაიდერმა.

— ვერ გეტყვით, იმ სიტყვების განმეორება ჯერ ვერავის გაუბედნია. ამბობენ, ისეთი საშინელი რაღაც თქვა, რომ სასამართლოს ერთი მოხელე, რომელიც თურმე ამ დროს იქ იყო, ჰქაუა შეიშალა და დღემდე იზოლირებული ჰყავთ, რომ არაფერი წამოცდესო. ეს ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის ჩვეულებრივი შეურაცხყოფა როდი იყო, სიმთვრალის დროს რომ წამოცდებოდა ხოლმე.

— ხომ არ იტყოდით, რა შეურაცხყოფას აყენებენ ხელმწიფე-იმპერატორს სიმთვრლეში? — ჰკითხა ბრეტშნაიდერმა.

— გთხოვთ, პატონებო, სხვა რამეზე ილაპარაკოთ. — ჩაერია საუბარში მიკიტანი პალიცევი. — იცით, ასეთი რამეები არ მიყვარს. წამოაყრანტლუ-ბენ რაღაც სისულელეს, მერე წაიღ და აგე პასუხი.

— თქვენ მეკითხებით, რა შეურაცხყოფას აყენებენ ხელმწიფე-იმპერატორს სიმთვრლეში? — გაიმეორა შეკითხვა შევიკმა. — ყოველნაირს. აბა ერთი გამოთვრით მაგრად, მოითხოვეთ, დაუკრან ავსტრი-



ული ჰიშნი და მაშინ ნახათ, რასაც ილაპარაკებთ.

იმდენ რამეზე შეთხზავთ ხელმწიფე-იმპერატორზე, ნახევარიც რომ შერთალი გამოდგეს, მთელი მისი სიცოცხლე ეყოფა. მას კი, იმ მოხუცს, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ასეთი არაფერი დაუმსახურებია. მხედველობაში მიიღეთ შემდეგი: მამოშვილი რუდოლფი სრულიად ახალგაზრდა მოუკვდა, მერე ხელიდან გამოეცალა სისხლსავე ცოლი ელისაბედი, რომელსაც ქლინით გაუზნებრტეს მკერილი, შემდეგ მიიკვალა მისი ძმა იან ორთი, მეორე ძმა კი — მექსიკის იმპერატორი, რომელიც ცინე-სიმარის კედელს მიახვრიტეს. ახლა კიდევ, მოხუცებულობის ვაშს, ბიძა მოუკლეს. რკინის ნერვები უნდა გქონდეს ადამიანს. ამის შემდეგ გამოვა კიდევ ვინმე ლოთი-ბაში და ავად მოისხევიტეს ჩვენს მოხუცს. ახლა თუ რამე იფიქრა, მოხალისედ წავალ და უკანასკნელ სისხლს წვეთამდე ვემსახურები ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორს!

შევიკმა ხარბად მოსვა ლუდი და განაგრძო:

— თქვენ გგონიათ, ხელმწიფე-იმპერატორი ყოველივე ამას ასე დატოვებს? თქვენ მას კარგად არ იცნობთ? თურქებთან ომი აუცილებლად უნდა მოხდეს; „ბიძაჩემი მოჰკალით, არა? აი ესეც თქვენ, იგემეთ ჩემი მუსტიო“. ომი გარდუვალა. სერბია და რუსეთი ამ ომში დაგვეხმარებოდნენ. დიდი შეტაკება იქნება.

შევიკი ამ თავისი წინასწარმეტყველების დროს შესანიშნავი იყო. მისი კეთილი სახე ზადრ მთავრე-სავით ღვიოდა. მისთვის ყველაფერი ნათელი, მარტივი და გასაგები იყო.

— ადვილი შესამლეღელია, — განაგრძობდა იგი ავსტრიის მომავალი ბედის დასურათანტემას, — თუ ომი ატყდა თურქეთთან, ჩვენ თავს დაგვეხმარებდნენ გერმანელები. გერმანელებს ხომ თურქების მხარე უჭირავთ! ისეთი გაიმეორები არიან, დედამიწის ზურგზე ბადალი არა ჰყავთ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კავშირი გავაბათ საფრანგებთან, რომელიც სამოცდათერთმეტი წლიდან კბილბეს ილესავს გერმანიაზე, და ყველაფერი კარგად წავა. ომი იქნება, მეტს არაფერს ვიტყვი.


ბრეტშნაიდერი წამოღდა და სიხარულით განაცხადა:

— მეტი სალაპარაკოც აღარაფერი გაქვთ. გამო-

1. ფრანც იოსების ერთადერთი ვაჟი — რუდოლფი მოკვდა 1899 წელს; სიკვდილის მიზეზი გაურკვეველი დარჩა.

2. ერცპერცოვმა იანმა 1889 წელს უარი თქვა თავის ტიტულზე და მიიღო ორთის გვარი. 1890 წელს უგზოუკვლოდ დაიკარგა.

3. ერცპერცოვი მაქსიმილიან პაპსბურგი, მექსიკის იმპერატორი 1863-1867 წ. წ. ტახტზე აიყვანეს ფრანგმა ინტერვენტებმა. მექსიკელმა რესპუბლიკელებმა დაატყვევეს იგი და ცინე-სიმარე კვრეტაროს კედელთან დახვრიტეს.



რუდებოდა იმედი იმაზე, რომ ერთი ამბავანი გაეზმებოდა. — მაგრამ თქვენი პირდაპირ, რომ ეს დიდი დანაკლისია ავსტრიისთვის.

მიკიტანს ნაცვლად შევიკმა უბასუხა:

1. ეს სასჯელი ავსტრო-უნგრეთის არმიამ იყო შემოღებული და შემდეგში მდგომარეობდა: დამნაშავე ჯარისკაცს ხელდას ფეხებზე მიუკრავდნენ თხასავით და მიწაზე დაგდებულს ასე სტოვებდნენ ერთ დღეს, ან მეტ ხანსაც.

2. მლადოჩეხი — ჩეხეთის ბურჟუაზიული პარტიის წევრი ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში.

1. ერცპერცოვი ფრანც ფერდინანდი ცნობილი იყო თავისი სიხარბითა და სიმკაცრით დატყევი გლეხების მიმართ, რომლებიც მისი სასახლის მახლობლად ცხოვრობდნენ.

3. კუპრაძის მონოგრაფია გერმანულად

მიმდინარე წელს გერმანიის სამეცნიერო გამომცემლობამ ბერლინში გამოცემა დაიწყო სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვიქტორ კუპრაძის მონოგრაფია. ეს მონოგრაფია პირველად მოსკოვში გამოიცა 1950 წელს.

ეგრეთ წოდებულ მდგრად რხევებს, გარდა წმინდა თეორიული ინტერესისა, დიდი მნიშვნელობა აქვთ ფუნდამენტური

დან ვგებულობთ გერმანულ გამოცემაში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება. ამას გარდა რამდენიმე პარაგრაფი ხელახლად დაწერილი და დამატებულია ახალი მასალა.

სასურდალბოა შემდეგი ფაქტები: მთელ მსოფლიოში ცნობილია გერმანულმა მათემატიკოსმა გერმანელმა 1952 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ერთ-ერთი მისი სიკვდილისწინა შრომათაგანი აღმოჩნდა და რომელშიც მან მემბრანის რხევის მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენა ერთი მახვილი მეთოდი. ამ მეთოდით აღმოჩნდა ამოცანის ამოხსნა ვ. კუპრაძის მიერ მოცემული იყო ჯერ კიდევ 1943 წელს (ეს ამოხსნა შევიდა მონოგრაფიის 1950 წლის რუსულ გამოცემაში). ექვს გარეშეა, ვ. ვეილი არ იცნობდა ვ. კუპრაძის გამოკვლევებს, მაგრამ ეს გარემოება, რომ სახელგანთქმული მათემატიკოსი დაინტერესდა და ხელი მოკიდა ერთ-ერთ პრობლემას, უკვე გადაწყვეტილს ქართველი მათემატიკოსის წიგნში, ჩვენის აზრით, თავისთავად ლაბარაკობს ამ წიგნის ღირებულებას.

ერთი გარემოებაა ფრიად საგულისხმო — ნაშრომის რუსულად გამოცემიდან გავლილ პერიოდში მძლავრი განვითარება ჰპოვა გამოთვლითა მათემატიკამ. ამჟამად ჩვენ სამაშულო მათემატიკურ მანქანებს შეუძლიათ სულ რაღაც ორიოდე საათში „გაუსწორდნენ“ ყველაზე რთულ ინტეგრალურ განტოლებებსაც კი, რომელნიც მონოგრაფიაში გვხვდებიან (ცხადია, აქ ცოტა როდის როდი თამაშობს ის, რომ განტოლებები, როგორც იტყვიან, სამანქანე სახეზეა მიყვანილი). ამით დიდად იზრდება მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომი, რომელიც გერმანულ ენაზე თარგმნა ჰანს-გიუნტერ ვოშნიმ, უმაღლესი სასწავლებლებისათ-

ვის განკუთვნილ მონოგრაფიათა და სახელმძღვანელოთა ცნობილ სერიაში გამოვიდა. სიყვარულით მოეყიდა ამ საქმეს წიგნის მეცნიერი რედაქტორი, გერმანელი სწავლული ლოთარ იანჩერი. მას ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა ვ. კუპრაძესთან. რიგი ახალი შენიშვნებისა, რომელნიც წიგნს დაერთნენ, ამ მიმოწერის შედეგია.


1952 წელს ლეს-ანტევილის ინგლისურ ენაზე გამოვიდა ვ. კუპრაძის

მეორე მონოგრაფია „Основные задачи математической теории диссипации“ (მოსკოვი, 1935 წ.). ამრიგად უკვე ოთხი შემთხვევაა, როცა ქართველი მათემატიკოსების წიგნები საზღვარგარეთ ებეჭდება („დრუზის“ მკითხველებმა კარგად იცნან აკადემიკოს ნიკო შუსტლერის ცნობილი მონოგრაფიების ნორდპოლიუსული ინგლისური გამოცემების შესახებ).

თამაზ მახარაძე

Ал. МЕЖИРОВ—Книга друзей

ამას წინათ „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ რუსულად გამოცემა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული. ლექსები თარგმნილია რუს პოეტის ალექსანდრე მექიროვის მიერ.



ანტოკოლსკიმ, ვლადიმერ დერკავინმა, და სხვა გამოჩენილმა რუსმა პოეტებმა.

ალ. მექიროვის „მეგობრთა წიგნი“ არის ამ ტრადიციის შესანიშნავი გემელება და განმტკიცება. იმავდროს, ეს კრებული წარმოადგენს ქართული პოეზიის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის საქმეში ა. მექიროვის ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის ერთგვარ შედეგს. რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული პოეზიის ნიმუშები ადვილად ხელმისაწვდომია სტალინის მკითხველისათვის, — ამ მხრივაც ამ კრებულს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

მთარგმნელი ხანგრძლივად ცხოვრობდა საქართველოში, უშუალოდ იყო დაახლოებული ქართველ ხალხთან, ეცნობოდა მის ზნე-ჩვეულებებს, კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პოეტის ღრმად ჩასწვლამოდა ქართულ პოეზიას. რუსულ ენაზე თარგმნილ ქართულ პოეტთა ლექსებში მექიროვი გადმოსცემს ნაციონალურ კოლორიტს და იმ ავტორთა ინდივიდუალურ პოეტურ ხმას, რომელთა ლექსებიც მოთავსებულია კრებულში.

კარგად გაფორმებულ და გემოვნებით გამოცემულ წიგნს გულთბილად მიიღებს საბჭოთა მკითხველი.

კლექსანდრა ნელუკიძე

ამ სახელწოდებით მიმდინარე წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოცემა დაიწყო ებანოიძის ბიოგრაფიული ნარკვევი პროფესორალ-რევოლუციონერის, გამოჩენილი მარქსისტის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის შესახებ.

ავტორი ნაშრომის დასაწყისში ფართოდ განიხილავს ალექსანდრე წულუკიძის ბავშვობას და ახალგაზრდობის წლებს, მისი აღზრდისა და პირველდაწყებითი სწავლების საკითხებს.

წულუკიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე ჩიება რევოლუციური მუშაობაში. 19 წლის ასაკში მან სამუდამოდ დატოვა ის სოციალური წრე, საიდანაც იგი წარმოიშვა და მ. ცხაკაიას რეკომენდაციით შევიდა ქუთაისში არსებულ მარქსისტთა — „მესამე დახის“ წრეში.

1895 წლიდან წულუკიძე, როგორც სოციალ-დემოკრატიული წრის აქტიური წევრი ეწევა მარქსიზმის შესწავლას და პროპაგანდას. ავტორი ნაშრომში განხილული აქვს საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საკითხები, ნაჩვენებია ის დიდი როლი, რომელიც საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში რუსმა მარქსისტებმა შეასრულეს.

ნაშრომის მე-3 თავი შეეხება წულუკიძის მოსკოვში სწავლის პერიოდს. წულუკიძის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო მოსკოვში გატარებული წლები, აქ მან მიუხედავად მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა ენერგიული მუშაობით მოკლე დროში შეძლო ღრმად შეესწავლა პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტული ფილოსოფიის, ისტორიისა და მუშათა მოძრაობის ძირითადი საკითხები. მოსკოვიდან მას სისტემატური კავშირი ჰქონდა საქართველოსთან, თვალყურს ადევნებდა საქართველოში მომხდარ ყოველგვარ მნიშვნელოვან ცვლილებას. ხშირად აქვეყნებდა წერილებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე საქართველოს იმდროინდელ პრესაში.

1899 წლის გაზაფხულზე წულუკიძე მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა. ამ დროს იგი სახეობით ჩამოყალიბებული იყო როგორც მარქსიზმის თეორიულის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. თბილისში წულუკიძე აქტიურად ებმება რევოლუციური მუშაობაში, ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ყველა იმ გაფიცვებასა და დემონსტრაციებში, რომლებიც 1900 წელს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში ეწყობოდა.


წიგნში ფართოდ არის განხილული წულუკიძის ის წერილები და სტატიები, რომლებიც ამ დროს იბეჭდებოდა გაზეთ „კავალი“, როგორცაა: „საუბარი მკითხველთან“, „ოცნება და სინამდვილე“, სერია სტატიები „ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან“ და სხვ. ამ მარქსისტული შრომების გამოკვლევებით, მან სწრაფად მოიხვეჭა ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსისა და პუბლიცისტის სახელი. მისი შრომები მარქსიზმს აცნობდა და სოციალიზმის რწმენას უნერგავდა მშრომელ მასებს.

წულუკიძეს არ აკმაყოფილებდა გაზეთი „კავალი“ რომელსაც ნ. უორდანი მეთაურობდა. გმობდა მის პოლიტიკურ ხაზს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმართულებას, მის მოწყვეტას მუშათა მზარდი რევოლუციური მოძრაობისაგან და მოითხოვდა არალეგალური გაზეთის დაარსებას, რომელიც ნამდვილად უპასუხებდა პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს. იგი მთელი შე-

ამ კრებულის გამოცემა წარმოადგენს რუს და ქართველ მწერალთა იმ კარგი ტრადიციის გაგრძელებას, რომელიც შექმნეს საბჭოთა მწერლების უფროსი თაობის წარმომადგენლებმა: ნიკოლოზ ტინოზოვმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, ბორის პასტერნაკმა, პავლე

ს ამბავი დღისით მოხდა, პირველ საათზე. პუშკინის ქუჩაზე, „მონკავშირის“ მაღაზიაში ხალხი ირეოდა. შაბათი დღე იყო და ნადირობის მოყვარულნი ამთავითვე ემზადებოდნენ მეორე დღისათვის. ორი ახალგაზრდა დაწრიალებდა მაღაზიაში, ეტყობოდათ, რადაცის არჩევანში იყვნენ. აი, გამყიდველი ქალი წამით შებრუნდა, მომხმარებლისათვის არჩეული საქონელი უნდა მიეწოდებინა. უცრად ერთი ახალგაზრდა სწრაფად მიიჭრა დახლთან, პირდაღმა გადაწვა ზედ, ხელის ერთი გამოკვრით უჯრა გამოაღო, ნავაჭრი ფული ჩაბღუჯა და გავარდა. მას ამხანაგიც მიიყვა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ხალხი აჩოქოლდა, ახმაურდა, იმ წუთში თითქოს ყველა დაიბნა. გამოდევნება ვერავინ მოახერხა. ისევ მილიციის მუშაკებმა იყოჩა-



დავუბრუნდეთ პუშკინის ქუჩაზე მომხდარ ამბავს. მძარცველები აღმოჩნდნენ თბილისის მკვიდრნი: ოცი წლის ს. პ. და მისივე თანატოლი ა. ა.

სურათზე ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ვხედავთ — ს. იგი ახლა კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროს გამოძიებლის შოთა ენუქიძის წინ ზის და თავს ვერ იძვრებს მისი კითხვებისაგან. საუბარი ამჯერად უფრო პირდაპირი და გულახდილია.

— რამ გაიძულა, ასეთი საქმე რომ ჩაიღინე? — ეკითხება გამოძიებელი.

— რა ვიცი, ვერ ვეტყვით... — პასუხობს დამნაშავე და ჭრელ ქუდს მალიმალ ათამაშებს ხელში. — სახლში კარგად ვცხოვრობთ, საქმელი თავის დროზე მქონდა და ტანსაცმელი. აი ეს კოსტუმიც იმ დღეს მიყიდეს. მუშაობით არასოდეს შევწუხებულვარ. მამაჩემი ყოველგვარ სურვილს უყოყმანოდ მისრულებდა. არც ჩემ მეგობარს აკლდა რამე...

ძალიან კარგი, რომ ამ ახალგაზრდების მშობლები არაფერს არ აკლებდნენ ოჯახს, მაგრამ მათ დავიწყებით მთავარი, დავიწყებით მიეცათ შვილებისათვის ჯანსაღი, დღევანდელობისათვის შესაფერისი სულიერი საზრდო.

მხანი

დეს და მძარცველები ქუჩაში დააკავეს.


ცნობისმოყვარეთა ტალღა უმაღვე გარს შემოერთყა მძარცველებს. ხალხი აღშფოთებას ვეღარ მალავდა. ყველას თავისებური აზრი ჰქონდა მომხდარი ფაქტის გარშემო.

მაგრამ ყველაზე სამართლიანად და ზუსტად ერთ-ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა თქვა:

— განა დღეს ეს უნდა ხდებოდეს? მართლაც!

სამწუხაროდ ჩვენ დედაქალაქში ჯერ კიდევ ვხვდებით მსგავს ფაქტებს. კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც უხეშად იჭრებიან ჩვენს ნორმალურ, მშვიდ ცხოვრებაში. სწორედ ზოგიერთი მათგანის შესახებ გვინდა მოვუთხროთ მკითხველებს წინამდებარე ფოტო-ნარკვევში.

აწუხუკენ



დახედეთ ამ სურათს. ეს არის მე-შვიდეკლასელი გ. პ. ახლა იგი ტირის, თავს იკატუნებს, პატიებას თხოულობს — მაპატიეთ, შევცდიო. სხვა გუნებაზე იყო, ალბათ, როდესაც თავის მეგობრებთან ერთად მაღაზიას ტეხდა. ხვეწნა-მულარა რა თქმა უნდა, ახლა უკვე გვიანაა.



თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში ამ მუდმივ „კლიენტებს“ კარგად იცნობენ. ესენი არიან სუშობათ ბაგდასაროვი და ბაბუღია ტყემალაძე. უკვე ორი წელიწადია რაც მათი საქმე სისტემატურად ირჩევა აქ. რამ მიიყვანა ისინი სასამართლოს კარამდე? უსაქმობამ, ნამდვილად უსაქმობამ. თუმცა ტყემალაძეს რომ კითხვით, იგი უმაღვე გიპასუხებთ, რომ მეტად დატვირთულია საქმეებით. მაშ რატომღა აპყლია ეს „საქმიანი“ ქალი თავის ჰირვეულ მეზობელს, რატომ აწუხებს მოზინადრეებს გაუთავებელი კინკლაობით, საჩივრების წერით.

აი, ახლაც მათი მორიგი „საქმე“ ირჩევა. თვითველი მათგანი ცდილობს „მამა აბრამის ბატყნად“ წარმოადგინოს თავის თავი.

სამშვიდეს

ამ მოქალაქეს უსათუოდ გაუკვირდება, როდესაც თავის სურათს ურნალში ნახავს (ჩვენ არ დავუფრთხეთ მას ტკბილი ძილი და ასეთ მდგომარეობაში გადავიდეთ), გაუკვირდება, მაგრამ ვერაფერს იტყვის — ფაქტი ჯიუტია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ვერ მოვახერხეთ მისი იმ მომენტში გადადება, როდესაც იგი „გმირულ“ საქმეებს სჩადიოდა თბილისის ქუჩებში. ზედმეტი ალკოჰოლი — აი რა თამაშობს მთავარ როლს ასეთ შემთხვევებში.



ფოტო-ნარკვევა გ. გომართლისა და ო. თ. თურქიანი

სახალხო ჯანმრთელობის
დაცვის სადასრულო

აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილი სახალხო ჯანდაცვის დარგის იმ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს მოახმარეს. მეტად საინტერესოა გვა განვლო მედიცინის ამ რიგითმა მუშაკმა.

აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილი დაიბადა 1866 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. სხვაში გლეხის ოჯახში.

ა. პეტრიაშვილი ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. მისი ნაწილი „კავკასიის მსროლელთა დრუჟინა“ იმ ხანად ყვარელში იდგა, მაგრამ აფრასიონი აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1888 წელს დრუჟინის მეთაურმა აფრასიონ პეტრიაშვილი ქალაქ თბილისის სამხედრო მოსპიტალში არსებულ საფრე შლო სკოლაში გაგზავნა. აქედან დაიწყო აფრასიონის დიდი სურვილის შესრულება, რომ დაუფლებოდა სამედიცინო საქმეს. 1890 წელს აფრასიონი წარჩინებით ამთავრებს საფერშლო სკოლას და მას წარმატებების აღსანიშნავად სამედიცინო ლიტერატურით და საათით აჯილდოებენ. ამასთან იგი ორი წლის ვადით ამავე მოსპიტალში იქნა დატოვებული სამუშაოდ. 1897 წლიდან პეტრიაშვილი უბრუნდება თავის საყვარელ სოფელს ამბროლაურს, სადაც მუშაობას იწყებს 6 საწოლიან საავადმყოფოში, რომელიც იმ დროს მომსახურებას უწყევდა მთელ რაჭის მაზრას. მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა აფრასიონს. ადვილი წარმოსადგენია, 6 საწოლიანი საავადმყოფო როგორი სამკურნალო ბაზა იქნებოდა რაჭის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად! მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა, აფრასიონ პეტრიაშვილი თავდადებათაგან ამბროლაურში მოსახლეობას და ჩქარა დიდი სახელი და სიყვარული დაიმსახურა.

ა. პეტრიაშვილი იმ ხანად 70-მდე სოფელს ემსახურებოდა.

ა. პეტრიაშვილი განათლებული კაცი იყო, აქტიურად უჭერდა მხარს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა ყოველმხრივ ეხმარებოდა რევოლუციონერებს — აძლევდა მათ თავშესაფარს. ამასთან, როდესაც საჭირო იყო, დროულ და კვალიფიციურ საკურნალო დახმარებასაც უწყევდა მათ. მაგალითად, 1918 წლი ივნისში ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთის ბოლოშვილებს ბროლაურში გადაიყვანეს თავიანთი თანასოფრელები წით. კვარდელი, რომელიც დაიჭრა მენშევიკებთან შეტაკების დროს. მენშევიკების მთავრობას რომ არ ჩავარდნიდა ხელში დაჭრილი მებრძოლი, ჭიათურის ბოლოშვილებმა თავი შეაფარეს ამბროლაურს. დაჭრილი იქ მიყვანისთანავე ინახულა ა. პეტრიაშვილმა, რომელიც ფარულად მოათავსა საავადმყოფოში და გაუკეთა ოპერაცია. სამი კვირის განმავლობაში იგი სხვისი გვარით ჰყავდა საავადმყოფოში, განკურნა და დაუბრუნა მებრძოლთა რიგებს.

ა. პეტრიაშვილი აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, იგი მტკიცედ იყო დაკავშირებული რაჭის მაზრის მოწინავე წრეებთან და ყველაფერს აკეთებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში თავის წვლილის შესატანად.

1921 წლის 25 თებერვლიდან იწყება აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილის განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა.

რაჭის რაიონულ ცენტრებში და სოფლებში, ისე როგორც მთელს ჩვენს რესპუბლიკაში გაფართოვდა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელი. გაიხსნა მრავალი ახალი სამკურნალო დაწესებულება. 1925 წელს პეტრიაშვილის წინადადებით 6 საწოლიანი საავადმყოფო ამბროლაურში გადაკეთდა 25 საწოლიანად, სადაც უფროსი ფერშლის მოვალეობას აფრასიონ პეტრიაშვილი ასრულებდა. 1934 წელს, როდესაც საავადმყოფოსთან გაიხსნა პოლიკლინიკა, აფრასიონ პეტრიაშვილი სამუშაოდ გადადის პოლიკლინიკის ქირურგიულ კაბინეტში, უფროსი ფერშლის თანამდებობაზე; აქ მუშაობდა იგი, თითქმის სიკვდილამდე.

მან თავისი ცხოვრების 65 წელი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს მოახმარა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს აფრასიონ პეტრიაშვილის უანგარო ღვაწლი.


იგი დააჯილდოვეს მთავრობის ორდენებით და მედლებით და მიანიჭეს საქართველოს სსრ დამსახურებული ფელდშერის წოდება.

ს. საშვარელიძე

კ რ მ ს ვ მ რ დ ი

კ რ ი ზ ი მ ტ ა
ლ უ რ ა ლ

2. ქელი სამხრეთ-დასავლეთ ვერტოპი; 6. ქვეყანა და ქალაქი ჩრდილოეთ ავრიკაში; 7. ქალაქი ესპანეთში; 9. თვითმმართველობა; 11. სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიისათვის შექმნილი სამხედრო ბლოკი; 12. უკიდურესი იმარება სიტყვის თავსართად; 13. ნავსადურის დაშორებული ნაოსნობისაგან უშიშარი ადგილი ზღვაში; 15. თანამედროვე იტალიელი პროზაიკოსი; 16. ოთხკუთხედად დაწყობილი ქვეითა ჯარი ძველ საბერძნეთში; 18. ფილოზოფის მფარველი დიმიტრი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. მომწამლაკი უფრო სიხვე; 22. გამოსანა, რომელშიც გამოსაცნობი სიტყვა იყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილად; 23. ზებუნებრივი ძალის არსებობისადმი რწმენა; 26. ტერმინი მუსიკაში; 27. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 28. დაწესებულების ხელმძღვანელი პერსონალი; 29. მცენარე, რომლისაგანაც ხლიან არაყს.



ვე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა ლ :

1. ხაზი, რომელიც სწორკუთხედს ქმნის; 2. საბუნებრივი ტერმინი; 3. ბოტანიკური ტერმინი; 4. სტუდენტი — პრაქტიკანტი კლინიკაში; 5. უძველესი ქალაქი მესოპოტამიაში; 8. გეომეტრიული ტერმინი; 10. რკინა-ბეტონის ნაგებობათა ჩონჩხი; 13. გამანათლებელი მოწყობილობის სისტემა, მოთავსებული სტენის წინ; 14. ხე; 17. ტერმინი მუსიკაში; 19. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 21. ფარული დაცენა; 22. ქალაქი ჩინეთში; 24. რომის ჯარების უმაღლესი საბრძოლო ერთეული; 25. თუჯის ბურთი, გამოიყენება სავარჯიშოდ — კუნთების გასაითარებლად.

უაჩრალ „დროის“ № 11-ში მოლოცვამული კროსვორდის პასუხი


კ რ ი ზ ი მ ტ ა ლ უ რ ა ლ :

3. ქორი. 4. ასლი. 8. არაგვისპირელი. 11. კამელია. 13. გიბონი. 14. რეპანი. 15. შიო. 17. დომინო. 18. მოხელე. 20. უმი. 23. მოდელი. 24. სუზანი. 25. ასურეთი. 28. პიდროგეოლოგია. 29. მანი. 30. სეია.

ვე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა ლ :

1. „პრავდა“. 2. ისრიმი. 5. ტრიკონომეტრია. 6. ასკეტი. 7. ალკოპოლიზაცია. 9. არია. 10. ლენა. 11. კილიკია. 12. არახისი. 15. შოუ. 16. ომი. 19. რომი. 21. მორფი. 22. ანძა. 26. სმოლნი. 27. თელავი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი. სატელევიზიო ანძა მამადავითზე.
ნახატი ალ. ბანძელაძისა
მეოთხე გვერდზე: თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ნანული ჯერენაშვილი პიონერთა სასახლის ნორჩ ნატურალისტთა სათბურში.
ფერადი ფოტო თ. თურქიასი და ი. ზეკინის



მოდი, ჩემო საყვარელო, მარტო ვარ. ქმარი მივლინებაში წავიდა.
(გეზანის დემ. ოკ. რესპუ. ჟენალიდან ფრაიე გელტა.)

რედაქტორი გრ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე. შ. გვინიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი. დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი. ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.
სამ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | შანი 8 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-88. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/1-57 წ. გამომც. № 129. ქალ. ზომა 70x108/8. 1.5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 625 უე 01201

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

საქვითი სატყვის კომპანია, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



1 სახიფათო მომენტი თეირანელთა საჯარიმო მოედანზე.



2 ირანელი სპორტსმენები ერთობიან.



3 სპორტის დანახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე ესაუბრება თავის „ძველ ნაცნობს“ თეირანის გუნდის მწვრთნელს (შუაში), რომელსაც ჯერ კიდევ 1944 წელს შეხვდა ირანში.

4 — დღესაც ვაგებთ თამაშს!
თეირანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის სათადარიგო მოთამაშეები მაცურებელთა როლში



ამა წლის ნოემბერში თბილისს ესტუმრა ქ. თეირანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მან ორი მატჩი ჩაატარა რესპუბლიკის დედაქალაქის I და II ნაკრებ გუნდებთან. ორივე მატჩი, ორივეჯერ თბილისელთა სასარგებლოდ, ერთნაირი ანგარიშით დასთავრდა — 3:0.

ქართველი და ირანელი ფეხბურთელები 1944 წელსაც შეხვდნენ ერთმანეთს თეირანში. ყველა შეხვედრა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა

თეირანელთა წლევანდელი საპასუხო ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველ და ირანელ სპორტსმენთა ურთიერთანამეგობრობას

ფოტო ოთ. თურქიასი



6.78/18

ეროვნული
ბიბლიოთეკა



600